# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 200 (220) ოთხშაბათი, 16 ოქტომბერი, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის სხდომაზე, რომელმაც 11 ოქტომბერს გვიან საღამომდე გასტანა, გამოვიდა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი. მან დეპუტატებს დაწვრილებით გააცნო სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ორგანიზაციული ღონისძიებანი. ამ საკითხზე თანამოხსენება გააკეთა საპარლამენტო ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის" წარმომადგენელმა დეპუტატმა რომან გოცირიძემ. უზენაესი საბჭოს, კერძოდ, მისი ეკონომიკური რეფორმისა და საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიების თვალსაზრისი გამოთქვეს მათმა თავმჯდომარეებმა გივი თაქთაქიშვილმა და ტარიელ გელანტიამ.

ამ საკითხის განხილვის შედეგები შეაჯამა ბატონმა ბესარიონ გუგუშვილმა, რის შემდეგაც უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად პრემიერ-მინისტრის ინფორმაცია ცნობად მიიღეს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს კი დაევალა დროულად და ორგანიზებულად განახორციელოს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

შემდეგ უზენაესმა საბჭომ მოისმინა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ანგარიში ზამთრისათვის მზადების შესახებ, რომელიც წარმოადგინა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ბაკურ გულუამ. გაიმართა გულახდილი აზრთა გაზიარება რესპუბლიკის ეკონომიკაში შექმნილი მძიმე ვითარების, კრიზისიდან გამოსვლის გზების შესახებ. ცნობად მიიღო რა მინისტრთა კაბინეტის ანგარიში, უზენაესმა საბჭომ თავის დადგენილებაში დასახა ზამთრის სეზონის ორგანიზებულად ჩატარების ღონისძიებანი.

ამით რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### ზამთრისათვის მზადების თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ანგარიშის გამო

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. ზამთრისათვის მზადების თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად.

2. მინისტრთა კაბინეტმა განახორციელოს ქმედითი ზომები დასახულ ღონისძიებათა უცილობელი შესრულებისათვის.

3. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, პრეფექტურებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, გადამჭრელი ზომები მიიღონ ზამთრის სეზონის ორგანიზებულად ჩატარებისა და ყველა სახის რესურსზე მკაცრი მომჭირნეობითი რეჟიმის განხორციელებისათვის.

4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებმა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატარონ მოსახლეობაში ყველა სახის რესურსების მომჭირნეობით ხარჯვის დიდ სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე.

5. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტმა, პრესამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ აღნიშნული საკითხის გაშუქებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი, 1991 წლის 11 ოქტომბერი

## საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

[illegible]

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
**ბესარიონ გუგუშვილი**

# ვინ აგებს პასუხს?!



**გასულ** უკვე დღეებში უჩვეულო სანახავი იყო ჩვენი ტელევიზიის მისადგომები. დეპარტამენტის შენობის წინ კიბეების გასწვრივ მდებარე გაპარტახებულ გაზონებს პირვანდელ სახეს უბრუნებდნენ ქალაქის მერიის მუშაკები. ასწორებდნენ გადათელილ მიწას, რგავდნენ ყვავილებსა და ბუჩქებს. აქვე მძლავრი ტექნიკა მანქანებზე ტვირთავდა ადრე მოზიდულ ქვა-ღორღს, სილით გატენილ ტომრებს, ჩალეწილი კარფანჯრების მინის ნამსხვრევებს, ათასგვარ ჯართსა და ნაგავს, რომელიც მწარე მოგონებად და მოუშუშებელ ჭრილობად დაგვიტოვეს განვლილმა დღეებმა.

არც ფოტორეპორტაჟი, რომელიც თან ახლავს ამ წერილს, და არც ის კადრები, რომლებიც ამას წინათ ტელევიზიით გვიჩვენეს ოდნავადაც ვერ ასახავს ამ ამაზრზენ სურათს, რომელიც აქ სუფევს. ყველაფერს ეჩვევაო კაცი, უთქვამთ, მაგრამ ყოვლად წარმოუდგენელია შეეგუო და შეეჩვიო იმას, რასაც აქ ხედავ. თითქმის მიწასთან არის გასწორებული ტელევიზიის შენობის მეოთხე სართული, რომელიც უმეტეს წილად „მოამბის" სამსახურებს უკავია. ჩამტვრეულ-ჩალეწილი კარები. ფანჯრები, იავარქმნილი ავეჯი და სხვადასხვა სატელევიზიო დამხმარე მოწყობილობა, დაჩეჩქვილი და გაძარცვული სამონტაჟო მაგიდები, სტაციონარული მაგნიტოფონები, მოგლეჯილი და გატანილი ტელემონიტორები, საკონტროლო ტელევიზორები, ჟურნალისტებისათვის ესოდენ აუცილებელი სამუშაო ვიდეო და ხმის ჩამწერი ტექნიკა და ათასი სხვა რამ წვრილმანი თუ მსხვილმანი, რომელიც თავის დროზე სიმწრით იყო მოპოვებული.

ტელერადიოდეპარტამენტის მესამე სართულზე თითქმის მთლიანად განადგურებულია „ვრემიას" საკორესპონდენტო პუნქტის ვიდეოსამონტაჟო საპარატო. აქ მთლიანად დემონტირებული და მოპარულია „სონის" ტიპის ძვირფასი აპარატურა, რომელიც ქმნიდა შესაძლებლობას თანამედროვე საერთაშორისო სატელევიზიო სტანდარტების დონეზე მოგვემზადებინა მასალები როგორც რუსეთის, ისე სხვა ქვეყნების ტელეკომპანიებისათვის.

გვესაუბრება ტელერადიო დეპარტამენტის რესპუბლიკური რადიოტელეცენტრის მთავარი ინჟინერი იური აკობია: —

— მართლაც, წარმოუდგენელი ამბავია — ტელერადიოდეპარტამენტის შენობიდან გატანილია თითქმის მთელი მობილური ტექნიკა — ვიდეომაგნიტოფონები, ტელევიზორები, კომპიუტერები, კასეტები, ვიდეოჩანაწერების მასალა, მიკროფონები, რადიორეპორტიორები, გატეხილია და გაძარცვული ფონოთეკაც და ვიდეოთეკაც, დარბეულია სამოქალაქო თავდაცვის საწყობი, სადაც ვინახავდით სარეზერვო აპარატურას, აირწინაღებს, მედიკამენტებს. მოპარულია აგრეთვე ტელეფაქსის აპარატები, ქსეროქსი, გატეხილია სეიფები, ზოგი სეიფი კი, (რომლის გაღებაც ვერ მოუხერხებიათ), საერთოდ არის წაღებული. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ჩვენი ავტოგარაჟის ამბავი, საიდანაც გატაცებულია ტელეფილმების ავტობუსი, და რაც მთავარია, „ოაზის" ტიპის ავტომანქანა, რომელზეც დამონტაჟებული გვაქვს რადიოსარელეო ხაზებისა და პარაბოლური ანტენების უნიკალური აპარატურა მოძრავი სატელევიზიო სადგურებისათვის. თუ ეს მანქანა დაუყოვნებლივ არ დაგვიბრუნეს, უნდა გამოვეთხოვოთ ფეხბურთის, სპექტაკლების, სესიების, საინტერესო შეხვედრების პირდაპირი ტრანსლიაციების ხილვას ტელეეკრანზე. ამ მანქანას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა მიერთებულია მოძრავ სატელევიზიო სადგურთან. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისინი, ვინც ჩაიდინა ყოველივე ეს, მოეგებიან გონს და დაგვიბრუნებენ ამ მეტად საჭირო აპარატურას, რითაც მოგვცემენ საშუალებას ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანასა და ხალხს.

იმ დღეს აქ ტელევიზიის ბევრი გულშემატკივარი ვნახე. მათ შორის იყვნენ დეპუტატებიც და რიგითი მოქალაქეებიც. ყველა წუხდა, ყველას სტკიოდა ტელევიზიის სატკივარი. თითოეულ ჩვენგანს ერთი რამ გვაწუხებდა:— ნუთუ იმ ამაზრზენ დღეებში აქ არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც აღკვეთავდა ამ აღვირახსნილ ძარცვას, ნუთუ აქ არ იყო თუნდაც ერთი ტელეჟურნალისტი, რომელიც განგაშს ატეხდა ამ ენით აუწერელი ფაქტის გამო. ვაგლახ, რომ არავინ იფიქრა, არავინ იზრუნა ამაზე.

შედეგად კი გვაქვს გაპარტახებული, გაძარცვული ტელევიზია, რომლის შესაქმნელადაც მთელი თაობა იღვწოდა წლების მანძილზე.

ეგებ სჯობდეს ყოველივე ეს საკუთარი თვალით იხილოს თბილისმაც და მთელმა საქართველომაც. ვნახოთ, ხალხო, და კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ იმაში, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ძმათა სიძულვილმა და მტრობამ, მოყვასის გაწირვამ და საერთო აღვირახსნილობამ.

ეგებ მაშინ მაინც მოვეგოთ გონს და ვუპატრონოთ საქართველოს!

ბია ბელიძე





[illegible] ფოტოები.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საუნივერსიტეტო საზოგადოების"

## განცხადება

1991 წლის 2 ოქტომბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა წერილი — „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი". რომელსაც ხელს აწერენ: ნ. ნათაძე, ე. შენგელაია, ა. იმნაძე, თ. პაატაშვილი, გ. ჩორგოლაშვილი, მ. ჟღენტი და სხვანი. ამ წერილში ერთ ადგილას აღნიშნულია: „... თბილისის უნივერსიტეტში რექტორთან შეთანხმებით ორი სამუშაო ოთახის გამოყოფას ხელისუფლებამ პროკურატურა მოაყოლა, მათი მხარდამჭერი ლექტორ-მასწავლებლები და ქალები მოუვიგზავნა, რექტორს კი განთავისუფლებით დაემუქრა".

დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ ამ ნათქვამში ყველაფერი სიცრუეა. ჩვენთან საუბარში რექტორმა განაცხადა, რომ მას „სამუშაო ოთახების" დაკავების უფლება არ მიუცია დეპუტატებისთვის. ეგრეთ წოდებული „საპარლამენტო ოპოზიციის" დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა თვითნებურად მიისაკუთრა ორი ოთახი.

კატეგორიულად უარვყოფთ იმასაც, რომ ამ ფაქტის გამო რესპუბლიკის ხელისუფლებამ თითქოს რაღაც განკარგულება გასცა.

ამ ფაქტის გამო მტკიცე პროტესტი გამოვთქვით ჩვენ — „საუნივერსიტეტო საზოგადოებამ" — და შევძელით კიდევაც დეპუტატების გაყვანა ოთახებიდან. მათ პირობაც დადეს, რომ აღარ დაბრუნდებოდნენ უნივერსიტეტში. მიუხედავად დაპირებისა, ამის შემდგომ დეპუტატები მაინც შევიდნენ იქ რამდენჯერმე და გამართეს თათბირი. ჩვენ კვლავაც მოვახერხეთ, რომ მათ მშვიდობიანად დაეტოვებინათ უნივერსიტეტი. თუმცა ერთ-ერთი ბოლო შეხვედრისას მათ სცადეს ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევაც კი (სხვათა შორის, ამ დროს მათთან ერთად იყო კინორეჟისორი გ. შენგელაია, რომელიც სულაც არ გახლავთ დეპუტატი). ჩვენი მოთხოვნით საქმეში ჩავრიეთ პრორექტორი ლ. ალექსიძე, რომლის კაბინეტშიც დეპუტატებმა კიდევ ერთხელ დადეს პირობა, რომ საბოლოოდ გაერიდებიან უნივერსიტეტს. მაგრამ, როგორც მერე აღმოჩნდა, მათ კიდევ ერთხელ არ შეასრულეს დათქმული პირობა და დაკეტილ უნივერსიტეტში შეიჭრნენ 28 სექტემბერს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზემოხსენებული წერილი 2 ოქტომბრისა მანამდე შეითხზა, რადგანაც ამ წერილის ბოლოში აქვს მინაწერი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 28 სექტემბერი, 1991 წელი".

დღეს უკვე აშკარაა, საპარლამენტო ოპოზიციის დეპუტატები ასე თავგამოდებით იმიტომ ესწრაფოდნენ უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ოთახების დაკავებას, რომ მოემზადებინათ დასაყრდენი ქუჩის ოპოზიციის იქ შესაყვანად. სულ მალე ასეც მოხდა: მას შემდეგ, რაც ქუჩის ოპოზიციამ საპარლამენტო ოპოზიციასთან ერთად დაიწყო ხანგრძლივი მიტინგების გამართვა მთავარი კორპუსის წინ, ქუჩის ოპოზიციამაც დაიწყო მალული დაპყრობა ოთახებისა მთავარ კორპუსში.

ჩვენ შორის არიან თვითმხილველები იმისა, რომ მთავარ კორპუსში ღამითაც კი იმყოფებიან ქუჩის ოპოზიციის წარმომადგენლები.

ყველაფერს ამას ხელს უწყობს რექტორატის და ადმინისტრაციის წაყრუება, აგრეთვე, მხარდაჭერა ზოგიერთი იმ პროფესორმასწავლებლის და თანამშრომლისა, რომლებიც ქუჩის ოპოზიციასთან ერთად „მშვიდობიანი აქციით" ისხდნენ თუ იდგნენ კიბეებზე.

მათ „გარჯას" უკვე მოჰყვა პირველი „შედეგი": როგორც უკვე გამოცხადდა („საქართველოს რესპუბლიკა", 12. 10. 91) 11 ოქტომბერს უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის № 109 ოთახის წინ, სადაც ი. წერეთლის პარტიას ფარული კრება ჰქონდა, მისმა ერთმა წევრმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მასწავლებელთა ერთ ჯგუფს.

თუ ასე გაგრძელდა, სავარაუდოა, რომ შემდგომი ნაბიჯი ოპოზიციის „საქმიანობისა" იქნება შეიარაღებული ხალხის შემოყვანა და სამხედრო ტექნიკის განლაგება მთავარ კორპუსთან, „გვირგვინი" კი ოპოზიციის „ეროვნულ-პატრიოტული" მოღვაწეობისა — უნივერსიტეტის დარბევა და დაქცევა, მსგავსად ტელერადიომაუწყებლობის დეპარტამენტის აოხრებისა!

როგორც ჩანს, ოპოზიცია თანმიმდევრულად ასრულებს თავისი ფაქტობრივი წინამძღოლის ი. წერეთლის წინასწარ დაგეგმილ ბოროტ განზრახვას — გააწამოს ქართველი ხალხი და მოუწამლოს მას სული. კარგად მოგეხსენებათ, რაოდენ დიდია უნივერსიტეტის მნიშვნელობა ერის სულიერი ჩამოყალიბებისათვის და ყოვლად მიუტევებელია მისი უმთავრესი მისიის ხელყოფა.

ამიტომაც სახალხოდ ვტეხთ განგაშს: „ისმინეთ ყველამ! საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების ოპოზიცია იმიტომ მართავს ხანგრძლივ მიტინგებს უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის წინ ეზოში, იმიტომ იკავებს ოთახებს შენობაში, რომ საბოლოოდ აპირებს სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსპობას!

მოგიწოდებთ ყველას: ფეხზე დავდგეთ, რათა ვიხსნათ ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტი!

„საუნივერსიტეტო საზოგადოება"
(დაფუძნდა 1991 წლის 15 მაისს იხ. „თბილისის უნივერსიტეტი", 17. 05. 91). № 13—14)

# რატომ არ არის ფული ბანკში?

**შემნახველი** ბანკის დევიზი „საიმედო, ხელსაყრელი, მოსახერხებელია" ეს რამდენიმე ხანია ცოტა არ იყოს გაუფერულდა, განსაკუთრებით მისი ბოლო ნაწილი. მეანაბრე, რომელიც ორ საათს დგას რიგში, არ გრძნობს მოხერხებულობას. კიდევ უფრო დაბნეულად გრძნობს იგი თავს დაკეტილ სალაროსთან. ჭორებმა იმის შესახებ, რომ შემნახველი ბანკები არ მუშაობენ, აიძულა საქინფორმის კორესპონდენტი პასუხისათვის მიემართა საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის გია თოფურიასათვის.

— უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც რესპუბლიკაში და განსაკუთრებით თბილისში დაძაბული პოლიტიკური სიტუაციაა, — თქვა მან. ამით არაერთხელ უსარგებლიათ ბნელ ელემენტებს. აი, ახლაც დაფიქსირდა რამდენიმე ცდა, როცა უცნობმა პირებმა მოითხოვეს იარაღი და ფული. ამიტომ იძულებული გავხდით ფული და ჩვენს დაწესებულებებში შენახული ზოგიერთი მატერიალური ფასეულობანი გადაგვეგზავნა შესაბამის ადგილებში და გაგვეცა ისინი საჭიროების კვალობაზე, განსაკუთრებით ხელფასისა და პენსიების მიღების დღეებში. მართლაც, რამდენიმე დღეს თბილისის ცენტრალურ ნაწილში განლაგებული ჩვენი განყოფილებები დახურული იყო, დანარჩენ რაიონებში კი ისინი მუშაობდნენ. იმისათვის, რომ დაგვეზღვია ჩვენი კლიენტები, დაგვეცვა ფასეულობანი, გავეცით მითითება რაიონულ განყოფილებებს რესპუბლიკის პრეფექტებთან ერთად შეემუშავებინათ შემნახველი ბანკების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი, ამასთან გაეთვალისწინებინათ ადგილებზე შექმნილი კრიმინოგენული ვითარებაც. ახლა კი, როცა პოლიტიკური სიტუაცია შედარებით სტაბილური გახდა, ჩვენი განყოფილებანი მუშაობენ ჩვეულებრივი რიტმით.

— სამწუხაროდ, ღია შემნახველ ბანკებშიც კი მეანაბრეებს არ აძლევენ თანხას, რომელსაც ისინი ითხოულობენ.

— შეზღუდვები არსებობს, მაგრამ ეს არ ეხება იმ პირებს, რომლებიც ხელფასს და პენსიებს იღებენ შემნახველი ბანკის მეშვეობით. ეს უფლება დაფიქსირებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სპეციალურ განკარგულებაში: ფულად ნიშნებთან დაკავშირებული სიძნელეების მიუხედავად, პირველ რიგში გასცენ ხელფასი და პენსიები. ხოლო რაც შეეხება დიდ ანაბრებს, რომლებიც კოოპერატორთა, დამამზადებელთა და სხვათა ანგარიშებზე შემოდის, აქ მოქმედებს შეზღუდვები. მიზეზი ერთია: რესპუბლიკას არა აქვს საკმარისი რაოდენობით ბანკნოტები. და თუმცა ჩვეულებრივი ანაბრებისა და მოსახლეობის დანაზოგების გაცემა არ ექვემდებარება შეზღუდვას, ისევ და ისევ ყველაფრის მიზეზია ფულის ნიშნების მწვავე ნაკლებობა.

— რატომ არ არის ფული?

— ეს რთული საკითხია, რომელზეც პასუხის გაცემისას როგორც მინიმუმი სამი ფაქტორი მაინც უნდა გავითვალისწინოთ. საქართველოს ეროვნული ბანკი, — სსრ კავშირის სახბანკთან ურთიერთობის გართულების გამო, — ფულის ნიშნებით გვამარაგებს საუკეთესო შემთხვევაში მოთხოვნილების 5-10 პროცენტით. მეორე ბზარი შექმნა სასაქონლო რესურსების დეფიციტმა, საქონელბრუნვის შემცირებამ და, შესაბამისად, რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში და, ბუნებრივია ჩვენი მისამართით, საკასო შემოსულობათა მკვეთრმა შემცირებამ. მიმდინარეობს ფულის მიქცევა შემნახველი ბანკებიდან, მოსახლეობას გაუჩნდა ტენდენცია არასაბანკო დანაზოგისადმი. ყოველივე ამას ხელს უწყობს აგრეთვე ჭორებიც შესაძლო ფულის რეფორმის, ფულის ნიშნების შეცვლის შესახებ და ა. შ. მაგრამ გავიხსენოთ 1947 წლის რეფორმა. ვინ მოიგო მისი განხორციელების შედეგად? იმან, ვინც ფულს ინახავდა მაშინდელ შემნახველ სალაროებში. ხოლო იმათ, ვინც ფულს შინ ინახავდა, 90 პროცენტი დაკარგეს.

— გამოდის, რომ მეანაბრეთა ხსნა თვით მეანაბრეების ხელშია?

— სავსებით მართალი ბრძანდებით. ბანკისადმი უნდობლობა არ აუმჯობესებს სიტუაციას. სამეურნეო-საბიუჯეტო პრობლემების შეგნებული გადასინჯვა, სინამდვილისადმი საღი მიდგომა, შიშის კომპლექსისაგან განთავისუფლება, ხელს შეუწყობს ბანკებში შემოსულობათა ზრდას. მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დღეებში მოხდა დადებითი ძვრა: მოსახლეობისაგან ფული შემოდის. ეს უკავშირდება ალოობას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნამეტის ჩაბარებასა და გაყიდვას და სხვა ფაქტორებს. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, ბუნებრივად მოიხსნება შეზღუდვების პრობლემა. ამ პროცესში უკანასკნელ როლს როდი ასრულებს დასახული პოლიტიკური სტაბილიზაციაც.

**ლარისა თუშმალიშვილი,**
საქინფორმის კორ.

## საზღვარგარეთ

[illegible]

... უმალ დაღუპავს იგრძეს, ვიდრე სოციალიზმის მონაპოვარზე უარს იტყვისო.

**სააგენტოს** ცნობით ტიუმენელი პოეტი იური ალექსეევი ინიციატივით გამოვიდა, რათა შეიქმნას რუსეთის „დურაკთა" პარტია. მისი აზრით, მხოლოდ ამ პარტიას შეუძლია წარმატება მოიპოვოს „დურაკთა ქვეყანაში". ალექსეევი აცხადებს, რომ მისი მოწოდებაა განკურნოს ხალხი კომუნისტური სისულელისგან და გაზარდოს მშობიარეთა რიცხვი. მისი აზრით, მამაკაცის მოწოდებაა იყოს შემოსავლის მომტანი და დამცველი, ხოლო დედაკაცისა — მშობიარე და აღმზრდელი. მოუწოდა რა რუსეთის „დურაკებს" გაერთიანდნენ ლოზუნგით „მიეცით ხალხს ლუდი და ძეხვი", ალექსეევმა გადაწყვიტა წარადგინოს თავისი კანდიდატურა ტიუმენის გუბერნატორად.

**ჩეხეთ-სლოვაკეთის** პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი პრაღაში შეხვდა სანკტ-პეტერბურგის მერს ანატოლი სობჩაკს.

**ბუდაპეშტიდან** იუწყებიან, რომ უნგრეთი დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ევროპის თანამეგობრობის ასოცირებული წევრი გახდება.

**ესტონეთის** უზენაესმა საბჭომ ხმების უმრავლესობით მიიღო ესტონეთის მოქალაქის კანონის პროექტი. მასში აღნიშნულია, რომ ესტონეთის მოქალაქე ვერ გახდება ის პირი, ვინც სასჯელს იხდის განსაკუთრებული სისასტიკის დანაშაულის ჩადენისათვის და აქტიურად იბრძოდა ესტონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის წინააღმდეგ.

**გუშინ** ჰელსინკის სასახლე „ფინეთში" საზეიმო ვითარებაში ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მეთაურებმა ვიტაუტას ლანდსბერგისმა, ანატოლის გორბუნოვსმა და არნოლდ რუიტელმა ხელი მოაწერეს 1975 წლის 1 აგვისტოს ჰელსინკის საბოლოო აქტს. ერთი თვის წინ აქტს შეუერთდა ალბანეთიც. ამრიგად ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ევროპული პოლიტიკური პროცესის სრულუფლებიანი წევრები გახდნენ. ცერემონიალს ესწრებოდა ფინეთის პრეზიდენტი მაუნო კოივისტო.

**მახაჩყალაში** გაიმართა ავარელი ხალხის საერთო ეროვნული ყრილობა. მარტო დაღესტანში ავარელთა რიცხვი 400 ათას ადამიანს აჭარბებს. ყრილობამ ავარელთა საჭირბოროტო საკითხები განიხილა.

**მოლდოვეთის** პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა „მოჯანუ" დუბოსარის მოსახლეობის წინაშე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მოლდავეთის რესპუბლიკა რუმინეთთან გაერთიანებას არ აპირებს.

## ინტერვიუ

**ხორცი და რძე, მატყლი და კვერცხი, მეცხოველეობის ნედლეული პროდუქტი ადამიანის საარსებო საშუალებაა, ისევე როგორც ჰაერი და წყალი. მათ აუცილებლობას დეფიციტის პირობებში უფრო ნათლად და მტკივნეულად შევიგრძნობთ ხოლმე. იმაზე, თუ რამ გამოიწვია ჩვენში მეურნეობის ამ დარგის უკიდურესი ჩამორჩენა და როგორ ვიპოვოთ ხსნის საშუალება, ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე აპოლონ კოხმანიშვილი.**

**— ბატონო აპოლონ, თქვენ, გამოცდილი მუშაკი და მეცნიერი, ახლახან ჩაუდექით სათავეში რესპუბლიკაში ამ დარგის აღორძინებას. ზოგადად როგორ გესახებათ მისი სადღეისო მნიშვნელობა და პერსპექტივები?**

—დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოსათვის უდ-...

...ლეობა კი არ გვექნება, ჩვენი მოსახლეობა უფრო იგრძნობს მეცხოველეობის პროდუქტების დეფიციტს.

ჩვენში ფერმერული მეცხოველეობის ჩამოყალიბებას დასჭირდება არანაკლებ 10-15 წელი, თუ გლეხს პირუტყვთან ერთად არ მივეცით ფერმერული მეცხოველეობისათ-...

**— რეალურ სინამდვილეს დავუბრუნდეთ. რა ვითარებაა ამჟამად ფერმებსა და მეურნეობებში?**

— მოგეხსენებათ, რესპუბლიკაში არსებობს მრავალი კომპლექსი და საუკეთესო ფერმა. ანალიზით დავრწმუნდებით, თუ როგორ იცვლება პროდუქციის წარმოების რაოდენობა ხელმძღვანელის უნარის მიხედვით.

ამის ნათელი მაგალითია სიღნაღის რაიონის წნორის გამოსაზრდელი სასუქებელი კომპლექსი, გარდაბნის რაიონის ჯანდარის და კრწანისის კომპლექსები.

სახელმწიფო კომპლექსების ხელმძღვანელების შერჩევა არ უნდა ხდებოდეს რაიონის დონეზე, რომ არ დავუშვათ შეცდომა. ...

...ეხება ეს საკითხი, მოითხოვს, რომ სწრაფად გადავიდეთ ფერმერულ მეცხოველეობაზე, მაგრამ ცარიელი ლოზუნგები არაფერს გვიშველის. საქმე იქამდე მივა, რომ მოვშლით არსებულ ფერმებს, კომპლექსებს, ფერმერული მეცხოვე-...

...მიერ დატოვებულ ფერმას, თუ სპეციალური გამოცდები არ ჩააბარა, ჩვენ რატომ უნდა ჩავაბაროთ მაღალპროდუქციული ფურები შემთხვევით მოიჯარეს, რომელიც ორ-სამ თვეში სასაკლაოში ჩასაბარებლად გაზრდის ძვირფას სანაშენე პირუტყვს?

...დამზადება 143 მილიონ 800 ათასი ცალით შემცირდა, მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში შარშანდელ შესაბამის დონესთან შედარებით ფრინველის ხორცის მიყიდვა შემცირდა 13024 ტონით, კვერცხის მიყიდვა — 31 მილიონ 800 ათასი ცალით.

...რებით ნაკლებია დამზადებული. სულ უხეში საკვები 115 ათასი ტონით, სილოსი — 68 ათასი ტონით, ბალახის ფქვილი — 3100 ტონით, სულ საკვები — საკვებ-ერთეულებში 53100 ტონით, ერთ პირობით სულზე 1,15 ცენტნერი საკვები ერთეულით. კიდევ უფ-...

...მოთხოვნილება ... აუცილებელ და შეუცვლელ პროდუქტებზე (რძე და ხორცი, მათი პროდუქტები), არაფერი გვეშველება. მეცხოველეობა ქართველი ერის საყოველთაო საზრუნავი უნდა გახდეს.

# დაღმასვლიდან აღორძინებისაკენ

## ეკოლოგია

# აუცილებელია ფონდის შექმნა

**იმასთან** დაკავშირებით, რომ დღეისათვის საგრძნობლად დაძაბულია ეკოლოგიური ვითარება მსოფლიოში და, რაღა თქმა უნდა, ჩვენს რესპუბლიკაშიც, საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩეველს ეკოლოგიაში, მეტეოროლოგიისა და ატმოსფეროს ფიზიკის საერთაშორისო ასოციაციის კომიტეტის წევრს, ფიზიკა-მათემატიკის მეც-...

...ავს. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია სახალხო მეურნეობის მართვის ეკოლოგიური მექანიზმის არასრულყოფილობა, ეკოლოგიის დარგში იურიდიულ-სამართლებრივი და სხვა ნორმატიული აქტების უქმარისობა, გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის კონტროლის სფეროში ჯერ კიდევ არსებული ორგანიზაციული დაქსაქსულობა, ...

...რომ ავტომანქანების გამონაბოლქვი აღარ შეიცავდეს აზოტის ჟანგს, ფუჭი აღმოჩნდება, თუ წინანდებურად გაგრძელდება ბენზინის ფალსიფიცირება, მაღალი მარკის ბენზინის და ავტომანქანის სათადარიგო ნაწილების დეფიციტი. აუცილებელია, შესრულდეს ის მოთხოვნები, რომლებ-...

...ცვისა და ბუნებათსარგებლობის დარგის სრულიად ახალ საფეხურზე აყვანას. ამ მიზნის განხორციელებას მრავალი ობიექტური ხელისშემშლელი პირობა ზღუდ-...

...ნთან ამ პრობლემების გადამწყვეტელი, პირველ რიგში, პოლიტიკური, სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორებია. მაგალითად, მეცნიერული კვლევა იმ მიზნით, ...

...კიდება ეკოლოგიური ფონდის შექმნის იდეას.

**გულიკო მარკოზაშვილი,**
**საქინფორმის კორესპონდენტი.**

## საკუთარ სახლში

# „ამირანი": მკერავები მოიჯარეები გახდნენ



**თერთმეტ** ათას მამაკაცის კოსტიუმსა და შარვალს უშვებს ყოველთვიურად თბილისის საიჯარო სამკერვალო ფაბრიკა „ამირანი". რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის საწარმომ მნიშვნელოვნად შეამცირა თავისი ნაწარმის გაგზავნა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

წლის დამდეგს ელექტრონი-...



**სურათებზე:** სამკერვალო საამქროს საერთო ხედი. წინა პლანზეა მკერავი ნანა შეროზია; კონსტრუქტორი ლინარა ძაგანია და მემოდელე ოსტატი ოთარ ხუციშვილი ამოწმებენ ახალი მოდელის კოსტიუმის ხარისხს.

**ვანო შამანაძის ფოტო**
**(საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

## სხვადასხვა

# ზამთარში დიდმწარმოებლური შრომისათვის

— **ვინ** არ იცის, რომ მომავალი ზამთარი ენერგორესურსების მხრივ არცთუ ისე დამაიმედებელი იქნება. ამიტომ კარგა ხანია შევუდექით ზამთრის სამზადისს, — გვითხრა ამიერკავკასიის რკინიგზის სამოქალაქო ნაგებობათა № 5 ...

...ზე. იგი თბოენერგიით უზრუნველყოფს სალიანდაგო დისტანციის, რკინიგზის ვაგზლის, აგრეთვე ტრანზიტად მიმავალი მგზავრებისა და დედათა და ბავშვთა მოსაცდელ ოთახებს.

თბილისის სახარისხებელ სად-...

...ლისში, კახეთის გზაჯვარედინზე, აგრეთვე გუმათჰესის, მოსკოვისა და დ. გურამიშვილის ქუჩების მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებსა და დამხმარე ნაგებობებს.

დიდი სამუშაოები სრულდება ...

...ახალი დგმ-ავეჯით შევსებისათვის.

რკინიგზის სამმართველომ და თავისუფალი პროფკავშირების საგზაო კომიტეტმა იზრუნეს იმისთვის, რომ ქვანახშირით, ნავთობით, ბუნებრივი გაზით მომარაგ-...

...უშაოთა მექანიზებული დისტანციების მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, ყველა პირობა შეუქმნან მათ ზამთრის პირობებში დიდმწარმოებლური შრომისა და სახალხო-სამეურნეო ტვირთის შეუფერხებლად გადაზიდვისათვის.

...საქინფორმი.

## საზღვარგარეთ

# ბეიკერი არ ცხრება

**მსოფლიოს** მრავალი საერთაშორისო მიმომხილველის აზრით შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, პრინსტონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ყოფილი საზღვაო ფეხოსანი და ადვოკატი, 1981-1985 წლებში თეთრი სახლის აპარატის ყოფილი ხელმძღვანელი, რვა შვილის მამა ჯეიმს ედისონ ბეიკერი თანამედროვეობის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწედ ჩამოყალიბდა. მისმა აქციებმა, როგორც შესანიშნავი დიპლომატისა რონალდ რეიგანისა და განსაკუთრებით ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს აიწია. მართლაც დიდია ბეიკერის როლი საბჭოთა კავშირთან სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების მომზადებისა და დადების საქმეში. ბეიკერმა დიდად შეუწყო ხელი გერმანიის გაერთიანებას, ცენტრალურ ამერიკაში, აფრიკის სამხრეთში და აზიის „ცხელ" წერტილებში ვითარების სტაბილიზაციას. განუზომელია მისი ღვაწლი აღმოსავლეთ ევროპისა და განსაკუთრებით ბალტიისპირელი ხალხის კომუნისტური უღლისაგან განთავისუფლებაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჯეიმს ბეიკერის უაღრესად ენერგიული მოქმედება ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების გზების ძიებაში. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დაგლას ჰერდის აზრით ბეიკერმა მიზანს თუ მიაღწია, მაშინ იგი მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაყოფიერი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე გახდებაო.

მართლაც, შთამაგონებელია ჯეიმს ბეიკერის ძალისხმევა ისრაელ-არაბეთის კრიზისის გადაჭრაში. სპარსეთის ყურეში მრავალეროვნულ ძალებსა და ერაყს შორის მომხდარი ომის შემდეგ რვა თვე გავიდა და დროის ამ მონაკვეთში სახელმწიფო მდივანმა რვაჯერ იმოგზაურა რეგიონში.

ოქტომბრის ბოლოს დაგეგმილია ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაჭრას ამ საუკუნის ერთ-ერთი რთული პრობლემა. იგი დაიწყო ბრიტანეთის ყოფილ სამანდატო ტერიტორიაზე, პალესტინაში ისრაელის სახელმწიფოს შექმნით. არც ერთ არაბულ ქვეყანას არ უცვნია ისრაელის დამოუკიდებლობა. უფრო მეტიც, მოხდა ისრაელ-არაბეთის ხუთი ომი, რომლის დროსაც პირველმა შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა. უკანასკნელად ისრაელს უდიდესი საფრთხე სპარსეთის ყურის კრიზისის დროს დაემუქრა, როდესაც ერაყი ბალისტიკური რაკეტების დაშენით ცდილობდა ისრაელის ომში ჩათრევას. ისრაელს მოთმინება ეყო და პროვოკაციის არ აყვა, ამავე დროს ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მდგომარეობის ასეთი სახით დატოვება ჩვენი პლანეტის ამ რეგიონს კატასტროფით ემუქრებოდა. ეს არის სამი კონტინენტის შესაყარი და ნავთობის უმდიდრესი საბადო, ამიტომ რეგიონის სტაბილიზაცია დიდად განაპირობებდა საყოველთაო მშვიდობის დამყარებას.

ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის მომზადებას დიდი დრო დასჭირდა. როგორც აღვნიშნეთ იგი ოქტომბრის ბოლოსათვის არის დანიშნული. კონფერენციის თანათავმჯდომარეებად იქნებიან საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი პანკინი და ჯეიმს ბეიკერი. ამავე დროს მასში მონაწილეობას მიიღებენ ერთის მხრივ ისრაელი და მეორეს მხრივ სირია, იორდანია, ეგვიპტე და პალესტინის დელეგაცია. ჯეიმს ბეიკერი ძალიან ოპტიმისტურად არის განწყობილი. მისი აზრით, მომავალი კვირა გადამწყვეტია და მიზნის მისაღწევად ძალას არ დაიშურებს. ორი დღის წინ იგი უკვე ესაუბრა ეგვიპტის პრეზიდენტს ჰუსნი მუბარაქს. ამ შეხვედრის დროს ნათელი გახდა, რომ ბეიკერის ახალმა ინიციატივებმა კონფერენციის მოწვევა რეალური გახადა. გუშინწინ იგი ამანში იორდანიის მეფეს ჰუსეინს შეხვდა, სადაც კონფერენციაზე იორდანია-პალესტინის ერთობლივი დელეგაციის სამართლებრივი სტატუსით აღჭურვის საკითხები განიხილეს. ცნობილია, რომ იორდანიაში პალესტინელ არაბთა რიცხვი სამეფო მოსახლეობის ნახევარს უახლოვდება, ამიტომ ისრაელის სურვილია, რომ პალესტინელ არაბთა ინტერესები კონფერენციაზე იორდანია-პალესტინის დელეგაციამ დაიცვას. გუშინ ბეიკერი დამასკოში ჩავიდა და ქვეყნის პრეზიდენტს, ყოფილ მფრინავ გამანადგურებელს ჰაფეზ ასადს შეხვდა. შემდეგ იგი იერუსალიმში კონსულტაციებს ჩაატარებს ებრაელებთან; პალესტინელებთან და აქ ჩასულ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ პანკინთან.

კონფერენციის მოწვევას და მის მსვლელობას მთელი რიგი წინააღმდეგობები ახლავს თან. სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის წინააღმდეგია არაბული ქვეყნების ისლამური ფუნდამენტალისტები. მათ უკვე მოაწყეს რამდენიმე ტერორისტული აქტი, როგორც ისრაელში, ისე რამდენიმე არაბულ ქვეყანაში.

კონფერენციის მიმართ განსაკუთრებული პოზიცია უკავია სირიის ლიდერს ასადს. მისი საერთაშორისო პოზიციები სპარსეთის ყურის კრიზისის შემდეგ საკმაოდ განმტკიცდა, რადგან მრავალეროვნული ძალების პოზიცია დაიკავა, ერაყის საწინააღმდეგოდ. სირია ისრაელისგან გოლანის მაღლობების დაბრუნებას ითხოვს, რაზეც იერუსალიმი სასტიკი წინააღმდეგია. რეიტერის სააგენტო ვარაუდობს, რომ სირიამ შესაძლოა სამშვიდობო კონფერენციაც კი ჩაშალოს მისი მუშაობის მე-3 ეტაპზე. ეს ეტაპებია: კონფერენციის გახსნა, ისრაელ-არაბების და კერძოდ ისრაელ-სირიის წინააღმდეგობების განხილვა და რეგიონული კონფლიქტების ანალიზი. ამავე დროს სირიას არაერთგზის განუცხადებია, რომ იგი წინააღმდეგია არაბული ქვეყნების მიერ ისრაელის სახელმწიფოს დიპლომატიური ცნობისა.

ერთ-ერთი რთული წინააღმდეგობაა პალესტინის დელეგაციის სტატუსი. პალესტინელები მოითხოვენ, რომ კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღონ აღმოსავლეთ იერუსალიმისა და ღაზის სექტორის არაბთა წარმომადგენლებმა. ამ მოთხოვნას კი ისრაელი თავის საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნევს.

ბოლომდე არც ისრაელის პოზიციაა გარკვეული. იგი თავის დროზე აღაშფოთა ჯეიმს ბეიკერის განცხადებამ, რომ რეგიონში მშვიდობის მისაღწევად ისრაელმა ტერიტორიის ნაწილი უნდა დათმოსო. ახლა ბეიკერმა თავისი პოზიცია უარყო. ისრაელი აგრეთვე უკმაყოფილოა პრეზიდენტ ბუშის მოთხოვნისა ისრაელისათვის 10 მილიარდი დოლარის სესხის მიცემის რამდენიმე თვით გადავადების შესახებ.

ასე რომ პრობლემები ძალიან ბევრია. ამავე დროს ისიც ცხადია, რომ მხარეებს კომპრომისზე წასვლაც სურთ. ახლა ყველაფერი თავად კონფერენციაზე არის დამოკიდებული. ბევრი ექსპერტის აზრით რეგიონში მშვიდობის დამყარება ძალიან რეალური გახდა და ამ შანსის ხელიდან გაშვება მიუტევებელი შეცდომა იქნებაო.

**გურამ სიხარულიძე,**
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" პოლიტიკური მიმომხილველი.

# „საერთაშორისო ამნისტიის" აზრით

**შეერთებულ შტატებში** სიკვდილს უსჯიან მეტ არასრულწლოვან დამნაშავეებს, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, ერაყისა და ირანის გარდა. ნათქვამია მოხსენებაში, რომელიც [illegible]

დილი მიუსაჯეს 15-17 წლის ასაკის 90-ზე მეტ მოზარდს. 1991 წლის 1 ივლისისათვის ამერიკის საპატიმროების სიკვდილმისჯილთა საკნებში ჰყავთ 31 მოზარდი.

არასრულწლოვანებისათვის სი[illegible]

რომელიც კრძალავს დასჯის ამგვარ სასტიკ ღონისძიებებს. მიუხედავად ამისა, 1989 წელს ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომელიც სანქციას აძლევს ასეთ პრაქტიკას. „საერ[illegible]

რდილებისათვისაც კი სიკვდილით დასჯის გაუქმებისადმი საერთაშორისო ტენდენციას. „ჩვენ ვილაშქრებთ სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ, — აღნიშნულია დოკუმენტში, — მოზრდილთა სიკვდილით დასჯა სასტიკი, ანტიჰუმა[illegible]

## ოპერაცია გრძელდება

[illegible]

## თურმე რა აწუხებთ ესპანელებს

[illegible]

## ესტონეთის მთავრობის პირველი საგარეო ვალი

[illegible] ულ მარკას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წესრიგში შენარჩუნებისათვის. სოფლის მეურნეობის მინისტრის ჰარი იუნაპუუს ცნობის თანახმად, კრედიტის პროცენტი შეადგენს დაახლოებით 10-11-ს, ხოლო ვალი უნდა გადაიხადონ მხოლოდ სამ-ოთხი წლის [illegible] წლების შესაძენად, რომელთა დიდი რაოდენობა თავის დროზე შეისყიდეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ჰარი იუნაპუუ არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობასაც კი, რომ დროთა განმავლობაში ვალი შეიძლება უსასყიდლო დახმარებად იქცეს.

## კანონი პარტიების შესახებ

[illegible] პარლამენტის მიერ მიღებული კანონი რესპუბლიკის პარტიებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ. ამ კანონის თანახმად პარტიების წევრები არ შეიძლება იყვნენ სამხედრო მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების, საბაჟო სამსახურის მუშაკები, მოსამართლეები და არბიტრები, პროკურორები, გამომძიებლები, სახელმწიფო კონტროლიორები, აგრეთვე ოფიციალური პრესისა და რადიოტელევიზიის მუშაკები. პარტიის ან სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის წესდება რეგისტრაციისათვის მიიღება, თუ დადასტურებულია, რომ მასში შედის სულ ცოტა 300 წევრი, მას აქვს პროგრამა და არჩეული [illegible] დონის სასწავლებლებში აკრძალულია პარტიებისა და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების საპროგრამო იდეებისა და ამოცანების სწავლება და პროპაგანდა. აკრძალულია აგრეთვე სახელმწიფოს, უცხოეთის სახელმწიფოების ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პარტიათა დაფინანსება. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, პარტიები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები იქმნება ტერიტორიული ნიშნით. დაუშვებელია მათი შექმნა და საქმიანობა შრომით კოლექტივებში, მათ არ შეუძლიათ გასწიონ სამეურნეო და კომერციული საქმიანობა.

მოლდოვპრესი-საქინფორმი.

## უკმაყოფილონი არიან

**მოსკოვში** მომუშავე უცხოელ დიპლომატთა, ჟურნალისტთა და ბიზნესმენთა უმრავლესობა უკმაყოფილოა საბჭოთა დედაქალაქში თავისი ცხოვრების პირობებით. ამას მოწმობს ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გამოკითხვის შედეგები, რომელიც მოაწყო ამერიკის ორმა კვლევითმა ორგანიზაციამ მოსკოვში ინგლისურ ენაზე გამომავალი ყოველკვირეულის „მოსკოუ გარდიანისათვის".

გამოკითხულთა 65 პროცენტმა თქვა, რომ მოსკოვში ცხოვრების პირობები „საშუალოზე დაბალია", 72 პროცენტის აზრით, უცხოელებისაგან მოითხოვენ გაზუზომელ საფასურს საქონლისა და მომსახურებისათვის. ამასთან 78 პროცენტი ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირში ცხოვრების ღირებულება გაისად კიდევ უფრო გაიზრდება.

მოსკოვის მთავარ პრობლემებს შორის უცხოელთა უმრავლესობამ გამოყო გზების ცუდი მდგომარეობა, ჰაერის გაჭუჭყიანების მაღალი დონე და მოქალაქეთა შორის ფართოდ გავრცელებული ალკოჰოლიზმი.

როგორც გამოკითხვის მონაცემები მოწმობს, დედაქალაქის ჯანმრთელობის დაცვის სისტემა არ იწვევს მეტი წილი უცხოელების ნდობას. მაგალითად, 64 პროცენტმა განაცხადა, რომ სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის ან ტრავმის შემთხვევებში ისინი შეეცდებიან სამკურნალოდ გაემგზავრონ საზღვარგარეთ.

მოსკოვში ცხოვრების ღირსებად უცხოელთა უმრავლესობამ დაასახელა ქალაქში გამართული სპორტული და კულტურული ღონისძიებანი.

უცხოელთა 67 პროცენტის აზრით, მოსკოვში აგვისტოში სახელმწიფო გადატრიალების ცდის ჩაშლა დააჩქარებს საბჭოთა კავშირში რეფორმების განხორციელების პროცესს. მაგრამ 60 პროცენტი ფიქრობს, რომ ამ ზამთარს საბჭოთა დედაქალაქს სასურსათო პროდუქტების სერიოზული ნაკლებობა მოელის.

ოფიციალური საბჭოთა მონაცემებით, მოსკოვში მუდმივ საფუძველზე ცხოვრობს საერთო ანგარიშით 24.550 უცხოელი.

## ამომრჩევლები ყველანი გახდებიან

**მოლდოვეთის** პარლამენტმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ. იგი მიზნად ისახავს, როგორც დოკუმენტში ნათქვამია, ადამიანის უფლებათა დაცვასა და მოსახლეობის შეკავშირებას. გათვალისწინებ რა, რომ კანონით მოლდოვეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მინიჭებული აქვს კანონის ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის განმავლობაში, მოქალაქეობის არჩევის უფლება და ეს ვადა ჯერ არ გასულა, პარლამენტმა დაადგინა: რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებში, რომელიც 8 დეკემბერს გაიმართება, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ყველა მოქალაქემ, რომლებიც მოლდოვეთის დამოუკიდებლობის შესახებ 1990 წლის 23 ივნისს მიღებული დეკლარაციის მიღების დღისათვის ცხოვრობდნენ მის ტერიტორიაზე, ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა გამოკლებით.

## ღვაწლი

# გამოჩენილი ბიოქიმიკოსი

**დღეს**, გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ პეტრე ქომეთიანს 90 წელი შეუსრულდებოდა. წავიდა ჩვენგან კაცი, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა მსოფლიო მეცნიერების საგანძურში. მისი იდეები კვლავ ცოცხლობს, და რა გასახარია, რომ ისინი ახალ-ახალ ექსპერიმენტულ დასაბუთებას პოულობს. პ. ქომეთიანის სამეცნიერო მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის სრულად შეფასებული, ვფიქრობთ, ეს მომავლის საქმეა.

პ. ქომეთიანი დაიბადა 1901 წლის 16 ოქტომბერს ქ. ქუთაისში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. სამეცნიერო საზოგადოებამ იმთავითვე შენიშნა ნიჭიერი, შრომისმოყვარე ახალგაზრდა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას იგი მუშაობს ლაბორანტად, შემდეგ ასისტენტ-ქიმიკოსად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოველთა კვების კათედრაზე. 1930 წელს სრულიად ახალგაზრდა მკვლევარი სათავეში ჩაუდგა ლაბორატორიას, სადაც მუშავდებოდა რძისა და მისი პროდუქტების ბიოქიმიის საკითხები. პარალელურად პ. ქომეთიანი მიწვეული იყო დოცენტის თანამდებობაზე ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტში ბიოქიმიის კურსის წასაკითხად.

აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის წინადადებით, 1933 წლიდან, პ. ქომეთიანი სათავეში ჩაუდგა უნივერსიტეტთან ახლად დაარსებული ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბიოქიმიის განყოფილებას, რომელსაც, ინსტიტუტის ცალკე გამოყოფის შემდეგაც, წარმატებით ხელმძღვანელობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

1934 წელს პ. ქომეთიანს მიენიჭა პროფესორის წოდება, ხოლო 4 წლის შემდეგ მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1944 წელს პროფესორი პ. ქომეთიანი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1955 წელს — ნამდვილ წევრად. 1964 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ფიზიოლოგიის ინსტიტუტში მუშაობამ განსაზღვრა პ. ქომეთიანის შემდგომი კვლევის მიმართულება. მისი სადოქტორო დისერტაცია სწორედ ნერვ-კუნთოვანი სისტემის ბიოქიმიურ ურთიერთობათა საკითხებს მიეძღვნა. მოპოვებული შედეგებიდან დიდ ინტერესს იწვევს პ. ქომეთიანის მიერ აღმოჩენილი ფაქტი, რომ კუნთის ქსოვილის იმ ნაწილში, სადაც ბოლოვდება ნერვი, უნერვო ნაწილებთან შედარებით, ნივთიერებათა ცვლა დიდი ინტენსივობით მიმდინარეობს.

პ. ქომეთიანმა პირველად სცადა ექსპერიმენტულად დაესაბუთებინა ბიოპოტენციალის წარმოშობის კავშირი ჟანგვა-აღდგენით პროცესებთან. ამ საკითხს მიეძღვნა გამოკვლევების მთელი სერია. პ. ქომეთიანის მიერ გამოთქმულ თეორიულ მოსაზრებას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, პირიქით, მის იდეას გამოუჩნდნენ მრავალი მიმდევრები ჩვენშიც და უცხოეთშიც.

პროფ. პ. ქომეთიანი შემდგომ გამოკვლევებში კვლავ აგრძელებს ნერვული დაბოლოებების ბიოქიმიის საკითხების შესწავლას. ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო აცეტილქოლინის სინთეზისა და მისი მოქმედების მექანიზმების შესწავლამ. პ. ქომეთიანის მიერ ნაჩვენებია ფიზიოლოგიურად ამ მეტად მნიშვნელოვანი ნაერთის სინთეზის გზა ფოსფორილქოლინიდან, რამაც საერთო აღიარება ჰპოვა მსოფლიო სამეცნიერო ბიოქიმიურ ლიტერატურაში.

დიდ ინტერესს იწვევს კუნთოვან ქსოვილზე აცეტილქოლინის მოქმედების მექანიზმებთან დაკავშირებული შრომები. პ. ქომეთიანის მიერ ექსპერიმენტულად დასაბუთებული იყო, რომ კუნთოვან და ნერვულ ქსოვილზე აცეტილქოლინის მოქმედებით ხდება ცილა-ელექტროლიტების წონასწორობის დარღვევა. თავისუფლდება დაკავშირებული კალიუმის იონები. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მეცნიერი, რომელთა შრომები ეხება აღნიშნულ საკითხებს, პირველწყაროდ სწორედ პ. ქომეთიანის გამოკვლევებს ასახელებს.

დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა შრომებმა ნერვულ ქსოვილში ფოსფატიდილქოლინის სინთეზის შესახებ, სადაც ნათლად იყო ნაჩვენები ფოსფორილქოლინის წამყვანი როლი. აღნიშნულ საკითხზე ამერიკელ მკვლევართა მიერ მოპოვებული შედეგები პროფ. პ. ქომეთიანის იდეის კიდევ ერთ ექსპერიმენტულ დასაბუთებას წარმოადგენს.

1951 წლიდან პროფ. პ. ქომეთიანი სწავლობს კუნთოვან და ნერვულ ქსოვილში თავისუფალ ამინომჟავათა გარდაქმნებს, ამონიაკის წყაროებს და მისი აცილების მექანიზმებს.

ამ მიმართულებით ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე მან ჩამოაყალიბა მთელი რიგი უაღრესად საყურადღებო შეხედულებები, მოგვცა ამინომჟავების მეტაბოლიზმის, ამონიაკის წარმოშობის და მისი აცილების კონკრეტული მექანიზმები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება, ხოლო მისმა ავტორმა, პ. ქომეთიანმა, ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიჭირა ამ სფეროში მოღვაწე ბიოქიმიკოსებს შორის.

იგი ყოველთვის გამოირჩეოდა ძიების წყურვილით, ყველა პრობლემას ახალგაზრდული ენერგიით ეხმაურებოდა. ამის საუკეთესო დადასტურებაა ის, რომ 1966 წელს 65 წლის მეცნიერი შეუდგა ნეიროქიმიაში ერთ-ერთი ურთულესი პრობლემის — მეხსიერების ბიოქიმიური საფუძვლების შესწავლის საქმეს. იმავე წელს გამოიცა მისი მონოგრაფია „მეხსიერების ბიოქიმიური საფუძვლები", სადაც შეჯამებული იქნა არსებული ლიტერატურული მონაცემები და ახალი მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე დასახა კვლევის კონკრეტული გზები. მიუხედავად აზრთა დიდი სხვაობისა, ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით, პ. ქომეთიანმა გაბედულად გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ინფორმაციის მიღება, შენახვა და რეპროდუქცია ხდება დინამიკური პროცესით, არა ერთ განსაზღვრულ უჯრედში, არამედ ნეირონული ანსამბლების დონეზე, რომელთა ფორმირებაში წამყვანი როლი ენიჭება ნეირომედიატორებს და მეორად მესენჯერებს. რაც შეეხება გენეტიკურ აპარატს, ის, პ. ქომეთიანის აზრით, ნერვულ სისტემაშიც ასრულებს თავის ძირითად ფუნქციას და უზრუნველყოფს მას პლასტიკური ნივთიერებებით. 1980 წელს ექსპერიმენტული მონაცემებით განზოგადებულ იქნა პ. ქომეთიანის და თანაავტორების მონოგრაფიაში „მეხსიერების ნეიროქიმიური ასპექტები" და ვრცელ სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა „პროგრეს ინ ნეიროზაიოლოჯი"-ში დაკვეთით.

იგი აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში, მეცნიერების მხურვალე პროპაგანდისტი მრავალი საზოგადოებრივი და სამეცნიერო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს წევრი იყო. არაერთგზის აირჩიეს საერთაშორისო ნეიროქიმიური საზოგადოების გამგეობის წევრად, იყო სსრ კავშირისა და უცხოური ქვეყნების ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი. პ. ქომეთიანი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოებას.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ პ. ქომეთიანის პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან თბილისის უნივერსიტეტში დააარსა ბიოქიმიის კათედრა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა 1973 წლამდე. შესაშური ენერგიით მუშაობდა სტუდენტებთან, ასპირანტებთან, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებთან. დაუვიწყარია მისი ღრმაშინაარსიანი ლექციები. პ. ქომეთიანმა ქართულ ენაზე დაწერა „ზოგადი ბიოქიმიის კურსი", სადაც მრავალი ბიოქიმიური ტერმინი იქნა დამკვიდრებული ქართულ ენაზე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მისი კეთილგანწყობა თანამშრომელთა და კოლეგების მიმართ, იგი ყოველდღიურად ზრუნავდა მათ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, ყოველთვის აღაფრთოვანებდა მოწაფეების წარმატებები. პ. ქომეთიანის ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ქართული სამეცნიერო საზოგადოება მუდამ მადლიერი იქნება გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს პ. ქომეთიანის საქმიანობით, რომელმაც მთელი მისი სიცოცხლე საქართველოში ბიოქიმიური მეცნიერების აღორძინებას მიუძღვნა. პ. ქომეთიანი არის ქართული ბიოქიმიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნეიროქიმიური სკოლის დამაარსებელი, რამაც მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა;

ძნელია შეეგუო იმას, რომ დღეს აღარ არის ჩვენს გვერდით პ. ქომეთიანი, მაგრამ მისი იდეები ცოცხლობს, რასაც წარმატებით ანვითარებენ მისი აღზრდილები. ეს პ. ქომეთიანის მარადიული ხსოვნის გარანტიაა.

**ნუგზარ ალექსიძე,**
საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

## სპორტი

# აღორძინდება სახელოვანი ტრადიციები



**საგარეჯოში** შექმნილი მსოფლიოში განთქმული ფალავნის არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტული კლუბი იმის იმედს გვაძლევს, რომ აქ აღორძინდება მოჭიდავეთა სახელოვანი ტრადიციები. არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მოწიწებით იხსენიებდნენ იმ ფალავანთა სახელებს, რომლებმაც „მთელი ქვეყნის ოქრო" მოიპოვეს. მაგრამ წლების მანძილზე შესუსტდა სპორტული საქმიანობა რაიონში, სათანადო ყურადღებას აღარ უთმობენ სპორტს ხელმძღვანელები. სწორედ ამ ტრადიციების აღდგენას აპირებს ახლადშექმნილი კლუბი „არსენა".

მრავალდარგოვან კლუბს შესაძლებლობა ექნება შექმნას მცირე საწარმოები, სპეციალური საფირმო მაღაზიები. მოგებას კლუბის აღჭურვისათვის, იმ სპორტსმენთა დაჯილდოებისათვის გამოიყენებენ, რომლებიც წარმატებებს მიაღწევენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

**სურათებზე:** ფიზკულტურულ-პროფკავშირული საზოგადოება „შევარდენის" თავმჯდომარე მურთაზ ილერდაშვილი და საგარეჯოს რაიონის პრეფექტის მოადგილე კულტურის, განათლების, სპორტის, ვაჭრობისა და არქიტექტურის დარგში გიორგი გოცირიძე განიხილავენ სპორტკლუბ „არსენას" პრობლემებს; მსოფლიო ჩემპიონი 18 წლამდე ასაკის მოჭიდავეთა შორის, საგარეჯოელი ნუკრი გაგანიშვილი.



**ნათელა გრიგალაშვილის** ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარის თეიმურაზ ქორიძის მამის
**აკაკი ქორიძის**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

### ჭადრაკი

#### ანგარიში გათანაბრდა

**მანილაში** გაიმართა ჩიბურდანიძე-ჟუნის მატჩის მერვე და მეცხრე პარტიები. მერვე პარტიაში გაიმარჯვა პრეტენდენტმა, ხოლო მეცხრე ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, ანგარიში გათანაბრდა — 4,5-4,5.

მეათე პარტია დღეისათვის არის დანიშნული. თეთრებით ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონი მ. ჩიბურდანიძე.

#### ორი გამარჯვებული

**ანატოლი** კარპოვმა და ვასილ ივანჩუკმა პირველობა გაიყვეს რეიკიავიკში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშების პირველი ეტაპის ტურნირზე. გამარჯვებულებმა 10,5-10,5 ქულა მოაგროვეს. 9-9 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები გაიყვეს ლიუბოევიჩმა, ნიკოლიჩმა და ხალიფმანმა.

### გასწორება

**ჩვენი** გაზეთის 15 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „მსოფლიო ინტეგრაციული პროცესი ქრისტიანული ესქატოლოგიის შუქზე" დაშვებულია უზუსტობა: შესავალი არის რედაქციის და არა ავტორის.


მთავარი რედაქტორი მარიკა აბაიშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26, წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება იუსტიციის შენობა საბეჭდო კომბინატში, ხიმშიაშვილის ქ. № 29.
შეკვეთა 6443

საქართველოს რესპუბლიკა


## განცხადება

### ყურადღება!

**ა. წ. 17 ოქტომბერს** 12 საათზე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში თსუ პროფესორ მასწავლებელთა ინიციატივით მუშაობას იწყებს კონფერენცია თემაზე: „საქართველოს დღევანდელი დღე: წანამძღვრები და პერსპექტივები". კონფერენცია განიხილავს საქართველოში შექმნილ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, შეისწავლის იმ პირობებს, რომლებმაც მიგვიყვანეს დღევანდელ ვითარებამდე, შეიმუშავებს დასკვნას საქართველოს თანამედროვე სიტუაციის შესახებ, დასახავს სამომავლო პერსპექტივებს.

**კონფერენციის საინიციატივო ჯგუფი.**

### საქართველოს მუსიკალური საზოგადოების გამგეობა

**აცხადებს** მიღებას სამუსიკო-პედაგოგიურ ინსტიტუტთან ახლადდაარსებულ სამუსიკო ლიცეუმში, რომელშიც მიიღებიან მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები 4-დან 12 წლამდე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. სწავლება უფასო. სასწავლო პროცესს უხელმძღვანელებენ სამუსიკო-პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები.

მსურველთა რეგისტრაცია იწარმოება 24 ოქტომბერს 11-დან 17 საათამდე.

მისაღები გამოცდა ჩატარდება 25-26 ოქტომბერს 11-დან 17 საათამდე.

წინასწარი ცნობებისათვის მიმართეთ ლიცეუმის დირექციას: ტელ: 93-67-61.

**მისამართი:** გ. ქიქოძის ქ. № 8. ხელოვნების მოღვაწეთა სახლი.

### ფასიანი პედაგოგიური ინსტიტუტი

**ეროვნული** თვითშეგნების ამაღლების საქველმოქმედო ასოციაცია „მზისასთან" არსებული უმაღლესი ფასიანი პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. საქართველოს ისტორიის ფაკულტეტი; 2. ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების წესით. გასაუბრება ჩატარდება საქართველოს ისტორიაში (საქართველოს ისტორიის ფაკულტეტი) და ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი) ზეპირი ფორმით.

გასაუბრებაზე დაიშვებიან საშუალო და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე ყველა მოქალაქე განურჩევლად ასაკისა.

პედაგოგიურ ინსტიტუტში შემსვლელებმა უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება; 2. განათლების დოკუმენტი (დედანი); 3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 86); 4. სამი ფოტოსურათი (3X4); 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (სტაჟის მქონეთათვის); 6. ცნობა დემობილიზაციის შესახებ (დემობილიზებულთათვის); 7. პასპორტი; 8. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

პედაგოგიურ ინსტიტუტში შემსვლელთა განცხადებები სათანადო საბუთებთან ერთად მიიღება 14 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრამდე, 10 საათიდან 16 საათამდე ყოველ დღე. გასაუბრება ჩატარდება 29 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე. ჩარიცხულთა სიები გამოქვეყნდება 2 ნოემბერს. სწავლების გადასახადი წელიწადში შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) მანეთს. სწავლის ხანგრძლივობა 4 წელიწადია. სწავლა დაიწყება 4 ნოემბერს. დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ინსტიტუტის მიმღებ კომისიას. წარჩინებული სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან საქართველოს ფარგლებს გარეთ.

**მისამართი:** ქ. თბილისი, დიღმის მასივი, 111 კვ. „უნივერსამი № 2". 151-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. ტელ. 51-86-15, ყოველდღე 11 საათიდან 14 საათამდე.

**ინსტიტუტის რექტორატი.**


საინფორმაციო სარეკლამო სააგენტო „ამარტი"